F567/3156

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა სპორტი


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი.

№4 (122)

აპრილი,

1965 წელი



პეტრე ქიტიაშვილი

ომის გრძელი გზა გადავიარე

პასუხად აკაკი გეწაძეს

ძმაო, რამდენჯერ გაფრინდა წელი,
ხემაც ფოთოლი ბევრჯერ დაყარა!...
თუმცა დიდია ჩვენს შორის ველი,
მანძილმა მაინც ჩვენ ვერ გაგვყარა.

გფიცავ, დავძლიე ომი, სიკვდილი,
აგერ გეძახი: მე ვარ ცოცხალი.
გული კი კვნესის, თავზე მაქვს ჩრდილი,
სამშობლოს ტრფობის აქაც მწვავს ალი.

ყოველგან დამდევს სიმხნევე შენი,
უცხოეთშიც კი შენ მაძლევ ძალას.
შენით არის, რომ აქ კარგი ვქენი;
სამაგიეროდ დღეს ვიღებ ღალას.

სწორი ხარ, ძმაო, იმედს არ კარგავ,
არ ჩასდო ჩემი სურათი შავში.
მეც უცხოეთში იმედებს ვჭარგავ,
დრო მოვა, შევალ მშობლიურ კარში.

როცა სიზმარში ვხედავ დედასა,
ალერსის ცხელი ცრემლები სცვივა.
როგორც მალამო მაძლევს შვებასა,
სული მოლბება, აღარა მტკივა.

მაგრამ გავახელ თვალებს ცრემლიანს
და ვნახავ — აქ ვარ მარტოდ მტირალი.
ბოლმა დამიხრჩობს გულსა სევდიანს,
და კვლავ ვწანწალებ ვითა ფირალი.

ომის გრძელი გზა გადავიარე,
არ მოვუღუნე მტერსა თავია.
სამშობლოს ჭირი გავიზიარე,
ვინც მე დამძრახავს, იგი ავია.

სწორი ხარ, ძმაო, იმედს არ კარგავ!
არ ჩასდო ჩემი სურათი შავში.
მეც უცხოეთში იმედებს ვჭარგავ,
დრო მოვა, შევალ მშობლიურ კარში.

გათავდა ომი, მოვაშთეთ მტერი
და ვნატრულობდი მშობლიურ კერას,
კიდევ მენახა ქართველი ერი,
გაიგონებდი ჩემს გულის ძგერას.

აღფრთოვანებით მივეჩქაროდი,
კიდევ მენახა სხივები მზისა,
მაგრამ ამ გზაზე დამიხვდა ლოდი,
ვერ გადავკოცნე ლოყები ძმისა.

მოღალატეო, შენ დაისჯები!
ტყვედ ჩავარდნილხარ, არა გრცხვენია?
დღეს სამშობლოსთვის ნუ გაირჯები!
ეს გამარჯვება მარტო ჩვენია!

და ეს სიტყვები გულს რომ მიკლავდნენ,
(შიგ იყო ავად ნათქვამი კილო)
მაინც სამშობლოს შავად ვერ რთავდნენ,
მესმოდა მშობლის ძახილი: — შვილო!

სწორი ხარ, ძმაო, იმედს არ კარგავ!
არ ჩასდო ჩემი სურათი შავში.
მეც უცხოეთში იმედებს ვჭარგავ,
დრო მოვა, შევალ მშობლიურ კარში.

ვერ გადვიტანე შეურაცხყოფა,
მათ დავუმტკიცე: არ ვარ ლაჩარი;
და გადავწყვიტე მათთან გაყოფა,
არ შევარცხვინე მე ჩემი გვარი.

აქ შევეხიზნე უცხოთა მხარეს,
ხელი არა მკრეს, გამიღეს კარი.
როგორცა შვილი მათ შემიყვარეს
და დღეს „სამშობლო“ ჩემთვის აქ არის.

იყავ მხნედ, ძმაო, იმედს ნუ კარგავ!
არ ჩასდო ჩემი სურათი შავში.
აქ უცხოეთში სამშობლოს ვჭარგავ,
სანამ მექნება ძალანი მკლავში.

ბორდო-საფრანგეთი.
1965 წ.

* პეტრე ქიტიაშვილის ეს ლექსი წარმოადგენს პასუხს პოეტ აკაკი გეწაძის ლექსზე „სულში შრიალებს იმედის ოლე“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ 1963 წლის ნოემბრის ნომერში.

გედის



სახელისა და დიდების მაძიებელ არასოდეს არ ვყოფილვარ. ერთი ჩვეულებრივი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ვიყავი. ჩემი ხალხი და ქვეყანა თავდავიწყებით მიყვარდა; ამიტომ არაფერს ვუდრკებოდი“, — ამბობს ალექსანდრე პეტრიაშვილი, რომელიც უცხოეთში ჩვიდმეტი წლის ლტოლვილობის შემდეგ კვლავ სამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა და ბედნიერება ჰპოვა...

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე, თბილისის სატრანსპორტო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მალე სამამულო ომი დაიწყო. ალექსანდრე პეტრიაშვილი ყველა პატიოსან საბჭოთა მოქალაქესთან ერთად იარაღით ხელში აღსდგა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კიევის ალყა...

ალექსანდრე პეტრიაშვილი სხვა სა[illegible] ჯართა ჯარისკაცებთან ერთად ტყვე ჩავარდა. კიევის ტყვეთა ბანაკში 1941 წლის დეკემბრამდე ეწამებოდა, თო[illegible] ანთივე ხელებით ამოთხრილ ორმოებში დღეში ასეულობით ადამიანს მარხავდნენ. „სამასი ათასი ტყვე ორმოცი ათასი ჩონჩხიღა დავრჩით“ — მწარედ იხსენებს ალექსანდრე განვლილ დღეებს. 1943 წელს ბერლინში შეკრებილმა „ტყვეთა დამხმარე კომიტეტმა“ იგი ბერლინში გადაიყვანა. გერმანელებმა მუქარით სამხედრო სკოლაში გაგზავნა დაუპირეს. ალექსანდრე სასტიკი უარით შეხვდა ამ წინადადებას. მოძმეთათვის ტყვეის სროლა სიკვდილი ერჩია. ყველა ვერ აღუდგა წინააღმდეგ ფაშისტთა მოთხოვნას და ძალაუნებურად გერმანულ სამხედრო სკოლაში ჩაერიცხნენ. სწორედ ამ დროს დაწერა ალექსანდრე პეტრიაშვილმა ოთხსტროფიანი ლექსი, რომელიც მთელ ქართველში პატრიოტულ გრძნობას აღვიძებდა:

„ქართველო, ქართველს ნუ მოჰკლ[illegible]
ისიც იმ ქვეყნის მცველია,
რომლის წალკოტში პირველად
შენ თვალი აგიხელია“.

...ბერლინში ალექსანდრემ ქართული ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბა, რ[illegible] მელსაც დავით კავსაძე ლოტბარობდა. ანსამბლმა დიდი პოპულარობა მოიპ[illegible] ვა და სახელი გაუთქვა მის შემქმნელებს.

ცნობათა კუთხე

თურქეთსა და რუმინეთში

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ნოდარ ანდღულაძე** გასტროლებზე იმყოფებოდა თურქეთში. მან წარმატებით იმღერა „აიდაში“ და „ტრუბადურში“.

აპრილში რუმინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **მედეა ამირანაშვილი.** ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე იგი გამოვიდა „ტრუბადურში“, „ფაუსტში“, „ბოჰემაში“.

ფესტივალზე გერმანიაში

თანამედროვე მუსიკის ფესტივალზე, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა, **შესრულებულ იქნა** ცნობილი ქართველი კომპოზიტორების: სულხან ცინცაძისა და დავით თორაძის ნაწარმოებები.

ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

გემთმშენებელთა საჩუქარი

გათუმელმა გემთმშენებლებმა ახლახან დაამთავრეს და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაგზავნეს „არაბიას“ ტიპის 90-ადგილიანი კატარღა. ეს უკვე მეორე კატარღაა, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის დამზადდა.

„თბილისი“ სერავს ოკეანეებს

ექვსი წელიწადია სსრ კავშირის ალმით სერავს ზღვებსა და ოკეანეებს შავი ზღვის ნაოსნობის ტანკერი, რომელსაც „თბილისი“ ეწოდება.

ტანკერი „თბილისი“ მრავალჯერ იყო ნორვეგიაში, ინდოეთში, აფრიკაში, ამერიკასა და ავსტრალიაში.

მსოფლიოს 25 ქვეყანაში

მსოფლიოს 25 ქვეყანაში გზავნის თავის პროდუქციას თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა. მათ შორის — ერაყში, სირიაში, ინდონეზიაში, იუგოსლავიაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში.

ახლა საწარმო ჩარხების პარტიას ამზადებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

თამგაჭ საექსპორტოდ

გუდაუთელმა მეთამგაჭოებმა კვარტალის გეგმა წარმატებით შეასრულეს. ზეგეგმით გამოშვებულ იქნა ორმოცდაათი ათასი მანეთის პროდუქცია. 75 ტონაზე მეტი აფხაზური თამგაჭო გუდაუთის ქარხნის მარკით გაიგზავნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, შვეციაში.

ტრიალში გამარჯვებული

...პარიზის „გრანდ ოპერაში“ ბალეტ „შოთა რუსთაველის“ დადგმა განეზრახათ. ოპერის ქორეოგრაფმა — სერჟ ლიფარმა პირველ ასისტენტად და დევით სოსლანის როლის შემსრულებლად ბერლინიდან ალექსანდრე პეტრიაშვილი მიიწვია.

პარიზის ოპერაში მუშაობის პარალელურად „სალ პლეიელის“ დარბაზში კავკასიური ცეკვების სკოლა გახსნა.

1944 წელს, საფრანგეთის განთავისუფლებისთანავე, მან პარტიზანებისაგან შეადგინა მოცეკვავეთა ანსამბლი; გუნდში მონაწილეობდნენ კაციტაძე, ჯავახიშვილი, გულიაშვილი, ნოზაძე, რუხაძე და სხვები. ისინი ყოფილ პარტიზანთა დასახმარებლად კონცერტებს მართავდნენ.

მალე ალექსანდრეს გამოსვლები აუკრძალეს, ვინაიდან, ფრანგების აზრით, კონკურენციას უწევდა მათ.

1945 წლიდან ალექსანდრე პეტრიაშვილი იძულებული იყო ქ. მეზიერში მძიმე, შავი სამუშაოები შეესრულებინა ლუკმაპურის მოსაპოვებლად.

საფრანგეთში ყოფნის დროს ალექსანდრე პეტრიაშვილი ქართული ხელოვნების პროპაგანდისათვის იღვწოდა.

ეი რას წერდა იგი გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე (1960 წ. 20 V),

„...ერთხელ კომპოზიტორმა ნიკოლა შტეინმა თავის ოჯახში მიგვიწვია მომღერალი მაიკ ტომპსი და მე. ვიცოდი, იქ სხვა არტისტებიც იქნებოდნენ და „დაისის“ კლავირი წავიღე. მასპინძელი ცოტა რომ შექეიფიანდა, პიანინოს მიუჯდა. შუბერტის, შუმანისა და ფორეს მელოდიების შესრულების შემდეგ დრო ვიხელთე, კლავირი წინ დავუდე და ვთხოვე „თვალი გადაეველო“. ქართული მუსიკის ტკბილმა ხმამ სტუმრები აღაფრთოვანა (ორი კვირის შემდეგ ტომპსის რეპერტუარს „სულო ბოროტო“ და „დამისხი, დამალევინე“ შეემატა)“.

ალექსანდრე პეტრიაშვილმა ფრანგებს ბევრი ქართული ცეკვაც გააცნო. ქართულმა სიმღერებმა და მათ შორის „გურულმა კრომანჭულმა“, კახურმა „მრავალჟამიერმა“ ფრანგები აღაფრთოვანა. მშობელ საქართველოზე ფიქრი ერთი წუთით არ ტოვებდა ალექსანდრეს.

...და აი დადგა სამშობლოში გამომგზავრების წუთები. „რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?! თავდაყირა ჩამოგკიდებენ!“ — ეუბნებოდა ზოგიერთი წამოსვლის წინ.

ყური არავისთვის დაუგდია.

...მატარებელი საქართველოს საზღვრებს უახლოვდება. გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობს. ალექსანდრეს თვალებზე ცრემლები ადგება, ცრემლებში ბუნდოვნად მოჩანს ამდენი ხნის უნახავი მშობლიური მთები, ველები... აგერ, მთის ფერდობზე მწყემსს ცხვარი გაუშლია და სალამურს ნაღვლიანად აკვნესებს.


„ამდენი ხანი უშენოდ, ნეტავი ვიცოდე, რამ გამაძლებინა“, — ფიქრობს ალექსანდრე...

დაუბრუნეს ალექსანდრეს დიდი ხნის მანძილზე დაკარგული მოქალაქეობა. მან ჩამოსვლისთანავე მიიღო კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა. შექმნა ბედნიერი ოჯახი.

ამჟამად ალექსანდრე პეტრიაშვილი მუშაობს მოდების ატელიეს ტექნიკურ ხელმძღვანელად და ადგილკომის თავმჯდომარედ. იგი საბჭოთა ხელისუფლების, თავისი ხალხის დიდი მადლობელია, რომ ასე თბილად შეხვდა და ფართოდ გაუღო კარი.

ალექსანდრე პეტრიაშვილის გვარს ხშირად შეხვდებით პრესის ფურცლებზე. მოკლე ხანში იგი დაამთავრებს ფანტასტიკურ მოთხრობას, რომელსაც „უცხო პლანეტის მკვიდრნი“ ერქმევა.

ზ. ბოცვაძე.



სურათებზე: მარცხნივ — ალექსანდრე პეტრიაშვილი; ქვემოთ — ალ. პეტრიაშვილი თავის ქალიშვილთან ერთად.

„სამშობლოს ხმის“ კუგლიკაცია

ქართული სახლის ფილოსოფია

მოსე გოგიბერიძე

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა“.

რ. ერისთავი.

სიყვარული ბუნების უდიდესი ფენომენია. იგი ის კოსმიური ძალაა, რომელმაც ქაოსიდან წესრიგი წარმოშვა და არსებობას ფორმა და შინაარსი მისცა; იგი თვითეული ორგანიზაციის საფუძველი და სიცოცხლისა და გამრავლების ფენომენია. სიყვარულის ძალა ასაზრდოებს არა მარტო ბუნებრივ ორგანიზაციას, არამედ სოციალურ ორგანიზმსაც, ამიტომ ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, ე. ი. სიცოცხლე, სიყვარულის სინონიმია. სიცოცხლე სიყვარულის ფორმაა. გამრავლება და განვითარება, ორგანიზმის ეს ორი უძირითადესი კატეგორია, სიყვარულის ძალას მოყავს სისრულეში. ამიტომ სიყვარულის ძალას მოკლებული სიცოცხლე არსებობის უფლებას მოკლებული ფენომენია. სიყვარული არის არსებობის შინაარსი და, როგორც ასეთი, ის დასაბამიც, რომელიც საფუძვლად უძევს ყოველივეს, რაც არსებობს და იმასაც, რასაც აქვს არსებობის ჯერარსობა.

კოლექტიური გრძნობის დასაბამი რომ დაკავშირებული იყო მიწის სურნელებასთან, ამას ყველაზე რელიეფურად გვიჩვენებს ქართული სიტყვა მამული. ამ მნიშვნელობის ტერმინი იმარება ყველა ენაში, — ბერძნულ, ლათინურ, რუსულ, გერმანულ და სხვაში. ქართულში მას კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. აქ მამული არის სინონიმი, ე. ი. ეს ერთი სიტყვა შემცველია ორი ცნებისა. ერთის მხრივ, იგი ნიშნავს მამა-პაპათა სამშობლოს ფართო მასშტაბით და, მეორეს მხრივ, მამული ნიშნავს ვენახს თუ ბაღს, რომელიც გაშენებულია კარ-მიდამოსთან. ამ სიტყვის მეტაფიზიკაში მოცემულია ქართველი კაცის კავშირი იმ მიწასთან, რომელიც მას ვენახსა და ბაღს აძლევს და რომელშიაც ამავე დროს მოეპოვება მამა-პაპათა საფლავი. აქ იშლება ქართველური განცდა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც ქართული მიწის სიყვარულისა, უპირველეს ყოვლისა, და შემდეგ ქართული მიწის ნაყოფისა.

ძველისძველი ადათი ყოფილა ქართველობისა: უცხოეთში ყარიბობისას თან იქონიოს ერთი პეშვი ქართული მიწა. და თუ მას ბედი არგუნებდა საფლავის გათხრას უცხო მხარეში და უცხო ხალხთა შორის, მაშინ ეს ერთი პეშვი მიწა იყო მისი იმედი, რადგან იცოდა, რომ მას გულზე დააყრიდნენ ამ მიწას და ეგონა, რომ ამით მისი გული იგრძნობდა კოსმიურ სიამეს და დაუკავშირდებოდა საქართველოს, სამშობლო კერას.

ეს გრძნობა იყო სამშობლოს სიყვარულის განცდისა და ეროვნული კულტურის მიერ შექმნილი პატრიოტობისა.

სამშობლოს სიყვარულის ქართველური განცდა სახიერდება აგრეთვე ქართველის სპეციფიკურ სიყვარულში ქართული ფაცხის, ბანის, ოდის, საერთოდ ქართული სახლის მიმართ. სიყვარული სახლისადმი არის განვითარებული ფორმა სამშობლო მიწისა და კერისადმი სიყვარულისა. ეს გრძნობა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე არის წარმოშობილი და განუყრელი თანმხლებია ქართული პატრიოტიკის — სამშობლოს სიყვარულის ქართველური განცდისა. ქართველს უყვარს სახლი, რომელშიაც იგი, თუ მისი წინაპარი, დაბადებულა. უამრავი ისტორიული ბრძოლა, რომელიც საქართველომ გადაიტანა დამპყრობლებისაგან თავისი ქვეყნის გადასარჩენად, იყო ბრძოლა სამშობლო ქვეყნის დასაცავად, სუბიექტურ-ადამიანური განცდით კი იგი იყო ბრძოლა ქართული სახლის გადასარჩენად. ქართულ პატრიოტიკაში სახლის სიყვარულს საპატიო ადგილი უჭირავს.

რასაკვირველია, ყველა ხალხისათვის ბუნებრივი იყო სიყვარული წარმომშობი მიწისადმი, მაგრამ სიყვარული სახლისადმი გულისხმობს უფრო მეტს, ამისათვის საჭიროა, ერთის მხრივ, მკვიდრი ბინადრობის მაღალი კულტურა და მეორეს მხრივ, კოლექტიური შეგნება მკვიდრი ბინადრობის სოციალური უპირატესობისა. ეტყობა, ორივე ეს ფაქტორი ძლიერი ყოფილა ჩვენს წინაპრებში. გარეშე ამისა წარმოუდგენელია ქართველის სულში ის ნიადაგმტკიცე გრძნობა დაბადებულიყოს და განვითარებულიყოს, რომელსაც ჩვენ ქართველი კაცის სახლისადმი სიყვარულს ვუწოდებთ.

პატრიოტიკა ◆ ისტორიული ეტიუდი

მაშასადამე, პატრიოტიკა პირმშოა მკვიდრი ყოფის გაჩენისა; ამიტომ იგი ჯანსაღი და ბუნებრივი გრძნობაა იმდენად, რამდენადაც ემსახურება ადამიანის ბუნებრივ სიყვარულს წარმომშობი მიწისადმი, და ყოველივე იმისადმი, რაც დაკავშირებულია მიწის კულტურასთან, მამულთან, მკვიდრ საფლავთან მამა-პაპათა, სახლთან, სადაც მუდმივი მცხოვრები ადამიანი ახორციელებს სიყვარულს წარმომშობი მიწისადმი. ამიტომ არის, რომ ხალხები, რომლებსაც მკვიდრი ცხოვრება გარკვეულ ტერიტორიაზე არ შეუქმნიათ, არ იცნობენ ნამდვილ, ალალ გრძნობას სამშობლოს სიყვარულისა. ასეთი ხალხების კულტურა განვითარების მომთაბარების საფეხურზე შეჩერდა და მკვიდრი ყოფის წარმოშობა ვერ შეძლო... ასეთ ხალხს არა აქვს გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, ასეთი ხალხისთვის სულ ერთია სად იცხოვრებს, სად დაუღამდება და გაუთენდება. ეს გრძნობა ინდეფერენტობისა წარმომშობი მიწის მიმართ ახასიათებდა ხალხებს, რომლებმაც მსოფლიოს დიდი ქვეყნები დაიპყრეს, მაგ., რომაელებს, მონღოლებს. ამით აიხსნება ის ფაქტი,

(დასასრული მე-7 გვერდზე.).

* წერილი რედაქციას მოაწოდა აწ განსვენებული პროფესორის მოსე ივანესძე გოგიბერიძის (1897-1949 წ.) ნების აღმასრულებელმა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ, რომელმაც გამოაქვეყნა აგრეთვე ავტორის კრებული „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“, თბილისი, 1961 წ. იბეჭდება შემოკლებით.

სახალხო მეურნეობის მაუწყებელი

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავის აღსანიშნავად

სრემლი დედისა



იგი ჩემს ხელზე როდი მომკვდარა. არ ვიცი, სად არის მისი საფლავი. მაგრამ მასთან ლაპარაკი მჭირდა მის სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე. მაშინ იგი 18 წლისა იყო, მას შემდეგ კი 23 წელიწადი გავიდა.

...ალყაშემორტყმულ სევასტოპოლში 1942 წელს მე, გაზეთ „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტმა, საზღვაო ქვეითი ჯარის სხვა განთქმულ მეზღვაურთა შორის სურათი გადავუღე ახალგაზრდა აფხაზს ალექსი არშბას. იგი დამახსოვრდა არა მარტო როგორც მამაცი და უშიშარი მეზღვაური, რომელსაც თავის ქვეგანაყოფში ყველაზე მეტი „მონენე“ ჰყავდა მოყვანილი მტრის ბანაკიდან, არამედ აგრეთვე როგორც უაღრესად მორცხვი ჭაბუკი. მორცხვი მეზღვაური!..

იმ ღამეს ალექსი და მისი ხუთი ამხანაგი ბრძოლით დაზვერვაზე წავიდნენ. დავპირდი, ფოტოსურათს ხვალ დილით მოგიტან-მეთქი.

დილით ლეიტენანტ ვლადიმერ დიკის მიწურში ვიყავი და წინადღით გაკეთებულ ფოტოსურათებს ვურიგებდი მეზღვაურებს. ჩემი საჩუქარი მათ ვერ ახარებდა. ყველანი ცუდ გუნებაზე იყვნენ. აი უკვე დილის 10 საათია, ხოლო ჯგუფი, რომელსაც მტრის ბანაკში გაჰყვა ალექსი არშბა, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა...

გავიდა კიდევ ერთი დღე, და ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მზვერავებს უბედურება შეემთხვათ.

...დამთავრდა სევასტოპოლის ლეგენდარული ეპოპეა. ბევრი ფრონტი გავიარე გამარჯვების დღემდე — 1945 წლის 9 მაისამდე. მაგრამ საველე ჩანთაში მედო კონვერტი დაღუპული საზღვაო სევასტოპოლელი მზვერავების ნეგატივებით.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ სოხუმში დავბრუნდი და ალექსი არშბას კვალს დავუწყე ძებნა. მაშინ, ალყაშემორტყმულ სევასტოპოლში, მან მოკლედ მიამბო თავის თავზე, თავის ოჯახზე, სწავლაზე და კოლმეურნეობაში მუშაობაზე. მაგრამ დამავიწყდა, სახელდობრ რომელი სოფლიდან იყო ალექსი. აფხაზეთის გაზეთებში რამდენჯერმე დავბეჭდე მისი ფოტოსურათი, მეგონა, რომ ნათესავები, მეგობრები ნახავდნენ და გამოეხმაურებოდნენ. დრო გადიოდა, მაგრამ არავინ არ გამოხმაურებია.

ახლა, როცა მთელი ქვეყანა ემზადება ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად, როცა პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით ყოველდღიურად გადასცემენ მასალებს სამამულო ომის ცოცხალ და დაღუპულ გმირთა უკვდავი მხედრული საქმეების შესახებ, ახალი ძალით გამიცოცხლდა მოგონებანი ალექსი არშბას შესახებ. მინდოდა რადაც უნდა დამჯდომოდა მომენახა ახალგაზრდა მამაცი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცის მშობლები. კვლავ და კვლავ მივდიოდი ოჩამჩირის რაიონის სოფლებში. და აი ამას წინათ სოფელ აგუბედაში მოვხვდი. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ წინათ ცუდად გამოვიკითხე აქ ალექსის შესახებ.

ტყვარჩელის მხრიდან მოვდიოდით. სოფლის ახლოს ორ კაცს შევხვდით. მანქანაში ჩავისხით. გამოველაპარაკეთ. ერთი მათგანი გვარად არშბა იყო. ფოტოსურათი ვაჩვენეთ. ჩვენი თანამგზავრი ერთ წუთს აკვირდებოდა, შემდეგ კი მხარში ხელი ჩამავლო და წამოიძახა:

— ეს ხომ ჩვენი ალექსია!... მე და ის ერთად წავედით ფრონტზე. მე სევასტოპოლში დავიჭერი და გადმომიყვანეს, ალექსი კი იქ დარჩა. მაგრამ თქვენ სწორად არ მიდიხართ. მისი ოჯახი ტყვარჩელში ცხოვრობს. სამწუხაროა, რომ მალე სამორიგეოდ უნდა გავიდეთ (ისინი ტყვარჩელის ელექტროსადგურის წყალსატუმბავში მუშაობდნენ), თორემ გაგაცილებდით.

გულთბილად დავემშვიდობეთ მათ და უკან მოვაბრუნეთ მანქანა. რა უცნაური რამ ხდება ზოგჯერ ცხოვრებაში! 23 წელიწადს დავეძებდი დაღუპული მეომრის ოჯახს და შემთხვევით (როგორც კინოშიო, თქვა ჩემმა ამხანაგმა) ვიპოვნე მისამართი სასოფლო გზაზე.

ნახევარ საათში ადგილზე ვიყავით, ტყვარჩელის დასავლეთ ნაწილში. თურმე ქალაქი გაზრდილა, და კოლმეურნეობის მიწებზე გარეუბნები გაშენებულა. კოლმეურნეებს კი თავიანთი სახლები სხვა ადგილას გადაუტანიათ. მხოლოდ მაღლა გორაზე დარჩენილა ერთი პატარა სახლი. ოჯახის უფროსი — ალექსის მამა მალევე გარდაცვლილა ომის შემდეგ, ხოლო მოხუცი დედა თავისი უფროსი ქალიშვილიანად ადგილზე დარჩენილა.

— ოთხნი ვიყავით, — ამბობს ქალიშვილი. — ჩემი ძმა ალექსი დაიღუპა. მამა გარდაიცვალა. დედა და მე დავრჩით. მე ექთანად ვმუშაობ.

ვთხოვთ გვაჩვენოს, თუ აქვს, ძმის ფოტოსურათები. ქალები გაოცდნენ. მოიტანეს ძველი ალბომი. და აი პატარა გაყვითლებული ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია ჭაბუკი, თითქმის ბიჭუნა. მეც კონვერტში მაქვს მისი ფოტოსურათი, სწორედ ის, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ გადავიღე სევასტოპოლში. სრულიად უეჭველია: ესენი ალექსის დედა და არიან. ძნელი გადმოსაცემია, რა მოხდა შემდეგ. როგორ უნდა ანუგეშოდა, რომელმაც ერთადერთი ვაჟი-შვილი დაკარგა? როცა გრძნობაზე მოვიყვანეთ, დიდხანს მდუმარედ იჯდა, თავს არ აშორებდა ჩემ მიტანილ ფოტოსურათს... შემდეგ წყნარად თქვა:

— ერთი დღეც არ ყოფილა მას შემდეგ, რაც ჩემი ძვირფასი ალიოშა დაიღუპა, რომ დამშვიდებული ვყოფილიყავი. ჩემი ბიჭუნა ყოველღამე მესიზმრება. მრავალ წელს გრძნობდა დედის გული, რომ კიდევ გავიგებდი მის ამბავს. ახლა მიამბეთ ყველაფერი, რაც იცით. თქვენ ხომ ცოცხალი გინახავთ ჩემი შვილი ომის დროს.

სახე მკაცრი გაუხდა. ნათელი თვალები უძრავად მოეპყრო ჩემთვის მსხვილი ცრემლები ღაპაღუპით ჩამოდიოდა დამჭკნარ ლოყებზე. ძნელი ასეთი მძიმე ამბის მოყოლა. მაგრამ იგი მაიძულებდა მელაპარაკნა.

არასოდეს, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ დამავიწყდება ის სახის გამომეტყველება.

მისი ალექსი იმისათვის როდი დაიბადა, რომ ჯარისკაცი გამხდარიყო...

ი. არშბა.

მკითხველო! ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ სურათზე თქვენ ხედავთ ალექსი არშბას მოხუც დედ[ას]

ჩვენს მკითხველებს

სრულდება ოცი წელი დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. 9 მაისს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები იზეიმებენ გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვების დღეს.

ამ დღეს განსაკუთრებული ზეიმითა და სიამაყის გრძნობით აღნიშნავს გმირი საბჭოთა ხალხი, რადგან ყველაზე მეტი მსხვერპლი მან გაიღო, ყველაზე მეტი წვლილი მან შეიტანა ფაშისტ დამპყრობთა განადგურების კეთილშობილურ საქმეში.

საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ასობით ქართველმა ვაჟკაცმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, ათასობით მათგანი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, სიცოცხლით სავსე ათეულ ათასობით ჭაბუკმა შესწირა თავი ქვეყნად სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობის გამარჯვებისათვის ბრძოლის წმიდათა წმიდა საქმეს. ისინი დიდებითა და პატივისცემით არიან მოსილნი ჩვენში. მათს სახელს ატარებენ ქუჩები, სკვერები და მოედნები, სკოლები, დაწესებულებები და კოლმეურნეობები. მათ ვაჟკაცობაზე და თავდადებაზე, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულზე მეტყველებენ მადლიერი თანამემამულეების მიერ შექმნილი რომანები, პოემები, ლექსები თუ კინოფილმები, ბრინჯაოში ჩამოსხმული თუ ქვაში ნაქანდაკევი ძეგლები, ობელისკები, მემორიალური წარწერები, საპატიო დაფები... მათ გმირულ საქმეებზე კიდევ უფრო მეტი უნდა დაიწეროს მომავალში.

ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეგიძლიათ თქვენ, უცხოეთში მცხოვრებო ძვირფასო თანამემამულენო... გაიხსენეთ და მოგვწერეთ საკუთარი და თქვენი ამხანაგების საბრძოლო ეპიზოდები. ჩვენ სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ თქვენგან გამოგზავნილ მასალებს გაზეთის ფურცლებზე გადავცემთ რადიოთი და ტელევიზიით. ჩვენი ვალია, ყველა ჭეშმარიტი ქართველის ვალია დავიწყებას არ მისცეს არც ერთი პატრიოტის, არც ერთი მამულიშვილის გმირული საქმე. მათმა ახლობლებმა, მათმა შთამომავლობამ უფრო მეტი უნდა იცოდეს მათ შესახებ.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სარედაქციო კოლეგია.

სახალხო მეურნეობის მაუწყებელი

№ 4, აპრილი, 1965 წ.

ტექსელის ლეგენდა

ცხოვრებამ თავისი მოითხოვა, გულმა გული იცნო და ორი ახალგაზრდა სამუდამო მეგობრობის გრძნობით შეკავშირდა.

უმწიკვლო და მტკიცე იყო მათი სიყვარული, მაგრამ ძალზე ხანმოკლე გამოდგა მათი ბედნიერება.

ვაჟი ქართველი იყო, ქალიშვილი კი ჰოლანდიელი.

ვაჟი უსამართლობისა და ძალმომრეობის ტყვე იყო. ათასობით კილომეტრი გამოატარეს სელფუჭშეკრული და ახლა აქ უპირებდნენ შიმშილითა და აუტანელი მძიმე შრომით სულის ამოხდას.

არც ქალიშვილი იყო ბედის კმაყოფილი. მის სამშობლოშიც ის არამზადები ბატონობდნენ, ვინც ვაჟს თავისუფლება წაართვა.

ქალი და ვაჟი შურისძიების წმინდა გრძნობამ უფრო მეტად შეაერთა, შეაკავშირა.

ვაჟი უთანასწორო ბრძოლაში დაეცა კუნძულ ტექსელზე.

ქალიშვილი ცოცხალი გადარჩა. გადარჩა სიყვარული და მზიურ საქართველოზე ფრაგდოვანი ოცნება.

ეს ოცნება ახლა მისია — მისი შვილის სულში ღვიოდა.

ოცნებას ფრთები შეესხა, სანატრელი აუსრულდა — თანამემამულეებმა მიმა მისივე თხოვნით სტუმრად მიიწვიეს საქართველოში და ოცი წლის შავგვრემანმა ჭაბუკმა დაბადების დღე და ახალი წელი წითელწყაროში იზეიმა.

ოცი წლისა წავიდა თეიმურაზ ნატროშვილი ფრონტზე. ოცი წლისა დაბრუნდა მამის მაგიერი მშობლიურ კერაზე. მერე როგორ ჰგავდა შვილი მამამისს! სიხარულისაგან აღელვებულ ბებიას ასე ეგონა დროის დინება უკან შებრუნდა და თვითონ შვილი გამოეცხადა, მისი საყვარელი თეიმური.

შეუმჩნეველად გაირბინა ერთმა თვემ. მიშა ნატროშვილი ჰოლანდიაში გავაცილეთ.

— საკვირველია, — მითხრა მიშამ განშორებისას, — ასეთ რაიმეს ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი. რაც აქა ვარ, ერთხელაც არ მიფიქრია ჰოლანდიაზე, არ გამხსენებია დედა, სახლ-კარი...

— აი, წახვალ და ჩვენც დაგვივიწყებ, უხეიროდ ვიხუშრე სე.

— მაგას რატომ ამბობ, განა მომიცია მაგის საბაბი? მე უბრალოდ დრო აღარ დამრჩა ჰოლანდიაზე საფიქრებლად. საქართველოს კი ვერასოდეს ვერ დავივიწყებ... ვერ დავივიწყებ ამ მაღალ მთებს, ზურმუხტოვან ზეცას, ჩემს ბებიას და ნათესავებს, ახალ მეგობრებს, ამ სახემზიან და კეთილ ხალხს, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. გჯეროდეთ ჩემი...

სმა აუთრთოლდა. ფარულმა ცრემლმა დაუსველა თვალთა უპენი.

ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ქართული ბატალიონის აჯანყება გერმანელებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა კი, აბა, რა იყო აქ მოულოდნელი? წლების განმავლობაში წვეთ-წვეთად დაგროვილმა ბოღმამ და სამაგიეროს გადახდის უდიდესმა სურვილმა დიდი ხანია აავსო მოთმინების ფიალა, და თუ აქამდე გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდნენ, ეს მხოლოდ კონსპირაციის მიზნითა და მოკავშირეთა მითითების გამო ხდებოდა.

ისინი რვაასი იყვნენ. რვაასი ქართველი ჭაბუკი! ზოგიერთს პირველსავე ბრძოლაში უმტყუნა ბედმა. სხვებმა მოასწრეს ღირსეული საბრძოლო ნათლობის მიღება. ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილი ბევრი ფაშისტი გაიტყუმრეს საიქიოს, ბევრ მომხდურს დაუბნელეს მზე.

ჰოლანდიაში ქართველებს თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობაზე ამუშავებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. მოსულთა და დამხვდურთა შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ ჰოლანდიელები საკუთარ სახლში იმყოფებოდნენ ტყვეობაში. ქვეყნის სრული ბატონ-პატრონები გერმანელები იყვნენ. ერთ ბედში მყოფმა ადამიანებმა კავშირი შეკრეს და მოხერხებულ დროს უცდიდნენ, რათა მტრისთვის სამაგიერო მიეზღოთ.

გერმანელებმა ეჭვი აიღეს. ქართულ ბატალიონს ხშირ-ხშირად უცვლიდნენ ადგილს, ბოლოს სულ მოსწყვიტეს კონტინენტს და კუნძულ ტექსელზე გადაისროლეს.

კავშირი მაღე იქნა აღდგენილი. კუნძულის მოსახლეობაშიც გამოჩნდნენ თანამზრახველნი. ქართველები იარაღს შოულობდნენ და ფარულად გადასცემდნენ ჰოლანდიელ ამხანაგებს, თვითონაც სისტემატურად ვარჯიშობდნენ, აჯანყების გეგმებს ადგენდნენ...

ქართული ბატალიონის ხელმძღვანელობამ ჰოლანდიის წინააღმდეგობის საბჭოსა და კომუნისტური პარტიისაგან, აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის მთავარსარდლობისაგან მეიარაღებული აჯანყების დაწყების უფლება ითხოვა. მიმართვაში ნათქვამი იყო:

„ამჟამად ჩვენ გერმანელებთან ერთად ვიმყოფებით ჰოლანდიაში და თავდაცვითი ხაზი გვიკავია ზღვის პირად 30 კილომეტრის მანძილზე და 30 კილომეტრის სიღრმეზე... აღნიშნული ტერიტორია თქვენ წინასწარვე შეგიძლიათ იგულისხმოთ თქვენი ოპერაციისათვის საჭირო თავისუფალ ტერიტორიად; ასევე ჩვენი ბატალიონიც ჩათვალეთ თქვენთან ერთად მებრძოლად.

ჩვენ წინასწარვე ამოვწყვეტთ ჩვენს ბატალიონში შემავალ გერმანულ პერსონალს... მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს ჰოლანდიელ მოსახლეობასთან და ისინიც უცდიან მომენტს, რომ ჩვენთან ერთად აიღონ იარაღი და ჩაებან ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ სტრატეგიული შედეგი მოსალოდნელი გამარჯვებისა, აგრეთვე ის ვითარება, რომ ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ, რათა დავაჩაროთ ფაშისტი არამზადების მოსპობა.

სიკვდილი ფაშისტ ოკუპანტებს!

ქართული ბატალიონის მებრძოლებისა და მეთაურების სახელით.

5 აგვისტო, 1944 წელი“.

პასუხი ასეთი იყო:

„ჩვენ ჯერჯერობით მტრის საბოლოო შემუსვრისათვის მზადების პერიოდში ვიმყოფებით. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები, რომლებსაც ჩვენთან ერთად სურთ ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ, ისე უნდა მოიქცნენ როგორც ეს საჭიროა და ესაჭიროებოდა“.

მაშასადამე, ჯერ კიდევ ადრე იყო. ყოველ შემთხვევაში ასე მიაჩნდათ მოკავშირეებს.

ბატალიონში ფარული მუშაობა კიდევ უფრო გაიშალა. დაიწყო გამოსვლა არაღალურობა გაზეთში. მოკავშირეთა დესანტის მისაღებად ქართველებმა განნაღმეს ზღვისპირა რაიონები, შეადგინეს კუნძულის გეგმა და აღნუსხეს ყველა სამხედრო ობიექტი.

ამასობაში ფრონტზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. გმირი საბჭოთა არმიისა და მოკავშირეთა ჯარების დარტყმების შედეგად წელში გატეხილი ფაშისტური ურჩხული სულ უფრო სწრაფად იხევდა თავისი ბუნაგისაკენ და სისხლისაგან იცლებოდა. ამ კრიტიკულ მომენტში გერმანელებმა ქართული ბატალიონის გამოყენება განიზრახეს ინგლის-ამერიკელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შეაიარაღეს და სურსათ-სანოვაგით მოამარაგეს ქართველი მეომრები, მაგრამ რადგან მათი ერთგულების იმედი არა ჰქონდათ, ჯერჯერობით მხოლოდ ნახევარი შემადგენლობის გაგზავნა გადაწყვიტეს ფრონტზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ ბრძოლაში ჩაბმისთანავე ქართველები იარაღს გერმანელებისაკენ მოაბრუნებდნენ, კუნძულზე დარჩენილ მეორე ნახევარს მხეცურად გაუსწორდებოდნენ.



ბატალიონის მეთაურმა შალვა ლოლაძემ, და კომისარმა გუჯაბიძემ ტყეში ფარულად მოუყარეს თავი შტაბის ოფიცრებს და თავიანთი გეგმა გააცნეს. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

1945 წლის 6 აპრილს ღამის პირველ საათზე ბატალიონი აჯანყდა. მებრძოლებმა უხმაუროდ განაიარაღეს გერმანელთა გარნიზონი. გათენებისას კუნძული თითქმის მთლიანად აჯანყებულთა ხელში იყო. ბატალიონს შეუერთდა 200-ზე მეტი ჰოლანდიელი და რამდენიმე გერმანელი ჯარისკაცი.

9 აპრილს გერმანელებმა შორსმსროლელი არტილერიით დაბომბეს ქალაქი და გადმოსხეს დესანტი. აჯანყებულებმა წარმატებით მოიგერიეს შემოტევა, მაგრამ ქალაქის გადარჩენის მიზნით დატოვეს დაკავებული პოზიციები და განაპირა უბნებში გამაგრდნენ.

მომდევნო დღეებში გერმანელებმა მსუბუქი ტანკებით, არტილერიით, ნაღმსატყორცნებითა და ავტომატებით შეიარაღებული ბატალიონები ჩააბეს ბრძოლაში და რამდენიმე შეტევა განახორციელეს. მაინც ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს.

არც ქართველთა მდგომარეობა იყო სახარბიელო. ტყვია-წამალი იღეოდა. ბოლოს მოტორიანი ხავი იშოვნეს და რამდენიმე კაცი ჰოლანდიელებთან ერთად დახმარების მიღების მიზნით ინგლისს გაამზავრეს.

17 აპრილიდან კაპიტან შალვა ლოლაძის წინადადებით ბატალიონი პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდა. აჯანყებულები ტყეში გაიხიზნენ, დასახლებული პუნქტები და თავდაცვითი ობიექტები გერმანელებმა დაიკავეს.

მალე აჯანყებულებს მთლად შემოელიათ ტყვია-წამალი. დაიწყო კიდევ უფრო უთანასწორო ბრძოლა. თავით ფეხთამდე შეიარაღებული დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ პარტიზანებს და ადგილობრივ მოსახლეობას — მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ.

მოკავშირეები კი არ ჩანდნენ.

მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ აჯანყებულთა მიერ გაგზავნილი დელეგაცია ინგლისის მთავარსარდლობამ მიღებისთანავე დაატყვევა და კუნძულზე მაშველი ძალების გაგზავნაზე არც უფიქრია.

9 მაისს ფაშისტურმა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და მეორე მსოფლიო ომი ფაქტიურად დამთავრდა.

ომი არ დამთავრებულა კუნძულ ტექსელზე. აქ კვლავ გრძელდებოდა ნადირობა აჯანყებულებზე, კვლავ იღვრებოდა უიარაღო ქართველების სისხლი.

1945 წლის 22 მაისს კანადის პირველი არმიის ნაწილები კუნძულზე გადმოსხდნენ და განაიარაღეს გერმანელები. ტყეში გაიზიზნულები დაბრუნდნენ. სათითაოდ მოკრიფეს მთელი კუნძულის ტერიტორიაზე გაფანტული გვამები და ძმათა სასაფლაოს მიაბარეს. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 550-მდე ქართველი ვაჟკაცი, მათ შორის იყო ბატალიონის სახელოვანი მეთაური კაპიტანი შალვა ლოლაძე...


მას შემდეგ, ყოველი წლის აპრილის პირველ რიცხვებში ერთად იკრიბებიან იმ ბრძოლებს გადარჩენილი და სახლში მშვიდობით მობრუნებული ქართველი მეომრები.

წელს აჯანყების ოცის წლისთავზე მათ შეხვედრას უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა — თბილისში ისინი თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად ჩამოვიდნენ. აქვე იყვნენ შალვა ლოლაძისა და ტექსელზე დაღუპულ სხვა ქართველ მეომართა ახლობლებიც. შეკრების მონაწილეებმა გაიხსენეს ბრძოლის ველზე დაცემული მეგობრები და ის ჰოლანდიელი ამხანაგები, რომლებიც ადრე მათთან ერთად იბრძოდნენ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ახლა კი მზრუნველობით უვლიან ქართველ ძმათა სასაფლაოს კუნძულ ტექსელზე.

სამარადისო ხსოვნა მათ — გმირ ქართველ მებრძოლებს, რომლებმაც უდიდესი გაჭირვების ჟამს უცხოეთშიც ღირსეულად დაიცვეს ქართული მიწა, ქართველი კაცის სინდის-ნამუსი.

გ. კავთიაშვილი.

* * *



სურათებზე: ქვემოთ — კუნძულ ტექსელის სქემა; ზემოთ—მიხეილ ნატროშვილი თავის ნათესავებს შორის საქართველოში.

სასპლო გვიჩრობის ჟასიპნე

ოთხ კონთინენტის ჰარაჯანში

მშვენიერების სამყაროში

ლადო გუდიაშვილის შემოქმედება
უცხოელის თვალით

◆

სენტ-ბევი წერდა, მოგზაურობა ადამიანს ჰორიზონტს უფართოებსო. და თუ მე გიწვევთ იმოგზაუროთ ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში, მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს მოგზაურობა დააკმაყოფილებს ჩვენს მიდრეკილებას პლასტიკურობისადმი... არამედ კიდევ იმისთვისაც, რომ განვივითაროთ აღქმა მშვენიერისა, ჩვენი გულუხვობა ყველაზე ნატიფი სილამაზის გაგებაში...

ყველაზე საინტერესოა ის, რომ ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას — ასეთ წმინდა ქართულს, ადგილობრივი კოლორიტით შეფერილს, არასოდეს რომ არ არის უტრირებული, — არ დაურღვევია ჩემი ის სათუთი წარმოდგენა მის ქვეყანაზე, რაც ბავშვობიდან შევინარჩუნე, — ამისათვის გულწრფელად მადლობელი ვარ მისი...

ლადო გუდიაშვილმა მიზნად დაისახა თავისი ქვეყნის ხელოვნების შესწავლა. იგი ფერწერას ეწეოდა ისე, რომ არ ბაძავდა და არ იმეორებდა ძველ ოსტატებს. მხატვრის ნაწარმოებთა პირველმავე გამოფენებმა თბილისში იგი გამოაჩინა როგორც საუკეთესო მხატვარი...

განვიხილოთ ლადო გუდიაშვილის შემოქმედება. ღრმად ეროვნული თავისი კოლორიტით, იგი საქართველოს ცხოვრების ნამდვილ ყოველდღიურობას ასახავს... შეიძლება ითქვას, რომ ლადოს პერსონაჟები მთელი თავიანთი თვითმყოფობისას ინარჩუნებენ რაღაც მოწიწებითს პატივისცემას ბიზანტიური ხელოვნების მანერისადმი, რაც განასხვავებს ქართულ ხელოვნებას საერთოდ. მაგრამ ლადო აცოცხლებს ამ მანერას, იმის მსგავსად, როგორც ქართული არქიტექტურა მოქნილობას ანიჭებს ბიზანტიურს...

მხატვარი არ უნდა უარყოფდეს თავის ეროვნულ ტემპერამენტს — იმასაც კი ვიტყოდი, რომ გამოხატვის იმ ფორმებისადმი მიდრეკილება, რომლებიც ჩვენთვის უცხოა, საკმაო წილად შეიცავს სნობიზმს. ეს კარგად გვიჩვენა გუდიაშვილმა. ლადო სახვითი ხელოვნების ყველა უახლესი პროფესიული მიღწევა რომ სინჯა, ამას საკმაოდ მჭევრმეტყველურად მოწმობს მისი შემოქმედება. ნატურმორტებს იგი ხატავს ერთგვარი სიკეკლუცით, როგორც ეს პარიზში უყვართ. ზოგიერთი მისი საუცხოო ნახატი ფანქრით ცხადყოფს მის მიდრეკილებას პლასტიკურობის იდეებისადმი, რომლებიც ძველი დროიდან დავიწყებული იყო ხოლო ჩვენს დროში აღორძინდა. მაგრამ მხატვარმა იგრძნო იმის გარდუვალობა, რომ შემოქმედებას ეწეოდეს ქართული ხალხური ხელოვნების სათავეებზე დაყრდნობით. მხატვარი თავისუფლად რომ ფლობს პერსპექტივას, ეს იწვევს კომპოზიციის თავისუფლად აგებას. მისი ნატიფი და მძლავრი ნახატი მოქნილია, მაგრამ არა განაზებულად ენერგიულია, მაგრამ არა უხეში. ცოცხალი მაგრამ არა ბუნების საწინააღმდეგო...

გუდიაშვილის ამაღლებული ხელოვნების სავსებით ამართლებს გამოსახვის იმ საშუალებებს, რომლებსაც მხატვარი იყენებს დახვეწილი ოსტატობა, რომელსაც იგი იჩენს თავის თვითეულ ტილოსა და ნახატში მოწმობს მის სიმწიფეს როგორც ადამიანისას და როგორც ფერმწერისას. ახალი ხელმარიტებანი, ახალი აღმოჩენანი იმათი ხელშია, ვინც დიდსულოვანი და გულუხვია.

ლადო გუდიაშვილმა, რომელმაც შეძლო თავის შემოქმედებაში მტკიცე თანხმობა დაემყარებინა გონებასა — რამდენადაც მსხვერპლად არ შეუწირავს იგი რაიმე სხვისათვის — და თავისი პირადი აღქმის წყალებს შორის, შექმნა თვითმყოფი და ცოცხლმედეგი ხელოვნება, რომელიც ღელვებს, გვხიბლავს და გვიტაცებს.

მორის რეინალ



როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს შ. რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა უკანასკნელ წლებში შექმნილი ფერწერული გრაფიკული ნამუშევრებისათვის. ამ გვერდში ვბეჭდავთ სამი მათგანის რეპროდუქციას.



ნეფე-დედოფალი



„სიბრძნე ბალავარისა“.
ილუსტრაცია



გაზაფხული

ქართული სახლის ფილოსოფია

(დასასრული)

რომ რომი სამშობლო იყო უპრინციპო კოსმოპოლიტიზმის. კოსმოპოლიტიზმი ამ შემთხვევაში იყო დაპყრობის გამართლების მსოფლმხედველობა და თავის კულტურის არაჩვეულებრივი გავრცელების ეპოქაში წარმომშობია იმ სხვის პატიოსანი სისხლის გამომწოვი და ასე გამაძღარი რომაელი ბოგანოს მსოფლმხედველობისა, რომელსაც გამოთქვამდა ლათინური პაროლი: **ubi bene ibi pafria** (სადაც კარგია, სამშობლოც იქ არის.).

წარმოუდგენელია, რომ პლატონის ქვეყნების შვილს ეს ეთქვა, რომლისთვის ლაყვარდი — ათენის ცისა და ლურჯი — ეგეოსის ზღვისა იყო ამ ქვეყნად განხორციელებული სამოთხე. ასევე წარმოუდგენელია ამგვარი იდეოლოგია როდესმე დაბადებულიყოს ქართველი კაცის თავში. ქართველს მიაჩნდა, რომ საქართველოა ამქვეყნიური წალკოტი. ყველაზე უკეთესია, მაგალითად, სურები გურიაში სურებელისათვის, ლეხაინდრავო სამეგრელოში ლეხაინდრავოელისათვის... წარმომშობი მიწისადმი, სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულის გამომხატველია სიტყვები:

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა!“

ადამიანის სიყვარული წარმომშობი მიწისადმი არის ცივილიზაციის სათავე, ხალხის მმართველობის ორგანიზაციის იმ ტერიტორიალური პრინციპის სათავე, რომლისაგან ერისა და სახელმწიფოს ცნება დაიბადა. რომ სახელმწიფოს ტერიტორიის შემოფარგლული საზღვრების გარეშე არსებობა არ შეუძლია, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. ამიტომ, მაგ., მონღოლებს ჩინგის-ყაენის და ბათო-ყაენის ეპოქაში, თანამედროვე გაგებით, სახელმწიფო არ ჰქონიათ. ასევე ანბანური ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ერის ცნებაც არ არსებობს გარკვეულ ტერიტორიაზე ბინადრობის გარეშე. ხალხი, რომელიც ერთ ტერიტორიაზე არ არსებობს, არ არის ერი,— მას აკლია ის გამაერთიანებელი საფუძველი, რომელსაც მთელი დანარჩენი იდეოლოგიური და სოციალური ფორმირება წარმოუშვია, — მას მიწა, ნიადაგი აკლია, ამიტომ ეროვნული გამძლეობა ამა თუ იმ ხალხისა იმით განისაზღვრება, თუ რამდენად შეძლო მან ისტორიიდან მიკუთვნილი და წინაპართა მიერ დამკვიდრებული ტერიტორიის შენარჩუნება. ამ წესიდან გამონაკლისს არ წარმოადგენენ არც ებრაელები, რომლებსაც დააკარგვინეს ის ტერიტორია, სადაც, მათი რწმენით, ღმერთმა მათთვის ქვეყნიერება გააჩინა...

ქართველური განცდა სამშობლოს სიყვარულისა დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიასთან და ქართული პატრიოტიკის მრავალფეროვანი ფორმა — ქართველი ხალხის ისტორიასთან. არც ერთ ფორმაში ქართული პატრიოტიკისა არ ურევია ბანგი იმის შესახებ, რომ ჩვენს წინაპრებს როდესმე სხვა ქვეყნების დაპყრობა მოსურვებოდეს და სხვისი ნადავლის მოთარეშება ეკისროს. ქართველის ერთადერთი სურვილი და განცდა იყო შეენარჩუნებინა თავისი მიწა-წყალი, დეცება მამა-პაპათა კუბოს ფიცარი და ბედნიერება განეცადა თავის დარბაზსა და თავის ღარიბ ფაცხაში. სახახლეს უცხო ქვეყანაში მას ფაცხა ერჩივნა თავის ქვეყანაში. დუტუ მეგრელმა ქართველი კაცის სულის სიღრმიდან იმღერა ასე ქართველურად და მშვენივრად:

„მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა კორტოხზე წამოდგმული“.

მას შემდეგ, რაც ქართველმა კაცმა თავისი საბინადრო ადგილი დაამკვიდრა კოლხიდასა და მესხეთში, იბერიასა და ჯავახეთში, მან გაიგო, რომ მისი ადგილი ერთხელ და სამუდამოდ გამონახული იყო ცისქვეშ. ამიტომ მას სხვა ადგილი აღარ უძებნია და მისი ისტორიული მამაცობა მდგომარეობდა იმაში, რომ ქართული მიწა და მიდამო გადაერჩინა ბედისა და მიწის მაძიებელი მოზღვავებული მტრისაგან. ამ გრძნობამ ქართველ კაცს გამოუმუშავა სპეციფიკური გრძნობა სიყვარულისა ქართული კერისა და მუდმივი საბინადროს დასაყრდენის — **ქართული სახლის** მიმართ.

სახლის სიყვარული ქართველისა გაუგებარია ზოგიერთი სხვა ერის შვილისათვის. მამულისა და სამშობლოს გაიგივება ფლორის ტოტემურ კულტთან აგრეთვე ქართველი კაცის სულისათვის განკუთვნილი და მისთვის სპეციფიკური მოვლენაა. ეს უკანასკნელი სპეციფიკურობა სამშობლოს სიყვარულისა მთისა და ბარის მდელოს აყვავებასთან, ე. ი. მცენარესთან დაკავშირებისა, ილია ჭავჭავაძემ გამოთქვა თავის წარმტაცსა და ქართველი კაცის სულის და გულის უღრმესი საუნჯის გამომხატველ ლექსში:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

ეს ლექსი, უაღრესად მხატვრული და პოლიტიკური ერთსა და იმავე დროს, მარადიული სურათია ქართველი კაცის სულისა, ხელთსაგოგმანები მარგალიტია პატრიოტიკის თემაზე შესრულებული პოეზიისა.

ის ფაქტი, რომ ხვედრითი წონა პატრიოტული მოტივისა ქართულ პოეზიაში ერთობ დიდია, რასაკვირველია, აიხსნება საქართველოს ისტორიული ბედის და უბედობის თავისებურებით, და ქართველი კაცის ორგანული კავშირით წარმომშობ მიწასთან.

ქართველ ბოტანიკოსთა მიღწევები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა მცენარეთა შესახებ თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითად დარგს მოიცავს. ეს არის ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის, გენეტიკისა და ციტოლოგიის, რადიობიოლოგიის აქტუალური საკითხების დამუშავება, აგრეთვე რესპუბლიკის გარეულ და კულტურულ მცენარეთა შედგენილობისა და ბიოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა.

— კვლევის დარგში, რაც მიზნად ისახავს მცენარეთა (ხორბალი, სიმინდი, პარკოსნები) მემკვიდრეობის, გამრავლების, აგრეთვე ჩამოყალიბების პროცესის კანონზომიერებათა შესწავლას, — უთხრა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, — მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები.

ხორბლისა და მრავალწლოვანი ჭვავის შეჯვარების შედეგად მეცნიერებმა გამოიყვანეს ხორბლის ჰიბრიდი, რომელსაც მშობელთა თვისებები აქვს. ამას გარდა, შექმნილია ალუბალ-ბალის ჰიბრიდი და ურძნის სახეობათაშორისო ჰიბრიდი. ახალი ჰიბრიდული მცენარეები მეტად საინტერესოა არა მარტო ჰიბრიდიზაციის თეორიის გასამდიდრებლად, არამედ პრაქტიკულადაც, რადგან ძვირფასი კულტურული მცენარეების სელექციის საწყისი მასალაა.

საინტერესო მონაცემები მიიღო ინსტიტუტმა საკვებ საფუარში ნახშირწყლების, ნახშირმჟავეებისა და ცილოვან ნივთიერებათა წარმოქმნის პირობების შესწავლის შედეგად. ეს მონაცემები ქმნიან ამ ნივთიერებათა სინთეზის რეგულაციის შესაძლებლობის რეალურ გზას, ურომლისოდაც შეუძლებელია სიცოცხლე.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან მჭიდრო თანამშრომლობით მთელი რიგი სამუშაოები განხორციელდა ფოტოსინთეზის დარგში. ამ სამუშაოთა მიზანი იყო განესაზღვრა ფოტოსინთეზის ყველაზე უკეთესი რეჟიმი და მისი პროდუქტების შედგენილობის დამოკიდებულება გარე სამყაროს ძირითად ფაქტორებზე. ამ პროცესის კვლევის შედეგად ბაკურიანის მაღალი მთის პირობებში დადგენილია, რომ ფოტოსინთეზი აქ უფრო მაღალ დონეზე წარმოებს ხეობებში და დაბლობებში ფოტოსინთეზთან შედარებით. საქართველოს მდიდარი მცენარეული საფარის გეობოტანიკური შესწავლის დარგში განხორციელებულმა ექსპედიციურმა კვლევამ გამდიდრა ჩვენი ცოდნა უმთავრესი ტიპების მცენარეთა ფორმაციებზე (ცენტრალური კავკასიონის მდელოს მცენარეულობა, ჭაობის მცენარეულობა და სხვ.). შედგენილია ცალკეული რაიონების დიდი მასშტაბური გეობოტანიკური რუკები, მიღებულია დიდმნიშვნელოვანი მონაცემები ცენტრალური კავკასიონის სუბალპური მცენარეულობისა და აღმოსავლეთ საქართველოს ველთა ძირითად კომპონენტებზე.

კვლევის პრაქტიკულად დიდმნიშვნელოვანი შედეგები ინერგება წარმოებაში.

გრძელდება მუშაობა „საქართველოს ფლორის“ ათტომეულის მეორე, პრაქტიკულად გადამუშავებული გამოცემის მომზადებისათვის. ეს გამოცემა სახელმძღვანელო იქნება აგრონომებისათვის, ზოოტექნიკოსებისათვის, მეცნიერი მუშაკებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. უკვე მომზადებულია პირველი სამი ტომის მასალები.



მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე ხშირად ჩამოდის საგასტროლოდ მშობლიურ თბილისში.

სურათზე: ზ. ანჯაფარიძე სტუმრად კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანთან.

1/8.35/29.

სპორტული მიმოხილვა

△ ჩემპიონატი დაიწყო ▲ თბილისელთა პირველი გამარჯვება ▲ ხელბურთელები ფინიშის წინ △ გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩი დაიწყება 17 სექტემბერს

◆

მოუთმენლად ელოდნენ გულშემატკივრები დიდი ფეხბურთის მოსვლას. მითუმეტეს, რომ ქართველი ფეხბურთელები წელს პირველად ატარებენ ჩემპიონის საპატიო ტიტულს. საკონტროლო შეხვედრებს, როგორც წესი, მრავალი მაყურებელი ესწრებოდა. გუნდში მრავალი ახალგაზრდა გამოჩნდა, ისინი ცვლიდნენ ს. მეტრეველს, მ. მესხსა და გ. სიჭინავას, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გადიოდნენ წვრთნას იუგოსლავიასა და იტალიაში.

საკონტროლო შეხვედრებიდან აღსანიშნავია დინამოელთა გამარჯვება მოსკოვის ცსკა-სთან (4 : 2) და ლენინგრადის „ზენიტთან“ (3 : 1).

გვიანი გაზაფხულია წელს. ვერა და ვერ გამოიდარა. გამუდმებით წვიმდა 15 აპრილსაც, როცა პირველი კალენდარული მატჩი გაიმართა, თბილისის „დინამო“ ეთამაშებოდა „ა“ კლასის დებიუტანტს ოდესის „ჩერნომორეცს“. ატალახებულმა მინდორმა თავისი დაღი დაასვა თამაშის მსვლელობას, თბილისელთა ტექნიკური უპირატესობა გააბათილა და გუნდები თითქმის ერთი და იგივე პირობებში ჩაყენა. ანგარიში დინამოელებმა გახსნეს, შემდეგ დაცვამ დაუშვა შეცდომა და ოდესელებმა საპასუხო გოლი გაიტანეს. ტაიმის ბოლოს მეტრეველმა 11 მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, სტუმრები წინ გავიდნენ. 2 : 1. ქართველი ფეხბურთელები შეტევაზე გადავიდნენ და მიაღწიეს საწადელს, ჯერ გაქვითეს ანგარიში, შემდეგ კი სამამდე გაზარდეს — 3:2. ასე დამთავრდა ეს მატჩი.

შეხვედრა აღსავსე იყო ორმხრივი შეცდომებით, რომელიც სავსებით ბუნებრივია სეზონის დასაწყისში, როცა გუნდები ჯერ კიდევ არ არიან თავის საუკეთესო ფორმაში. თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ სტუმრებს ბედი წყალობდათ. მათი კარი ხუთჯერ იხსნა ძელმა, ხოლო დინამოელთა კართან შექმნილი ორი საგოლო მომენტი ორჯერვე იქნა გამოყენებული. მიუხედავად ამისა ჩემპიონმა მტკიცე ნებისყოფა და მაღალი კლასი აჩვენა. კიდევ რამდენიმე მატჩი და თბილისის „დინამო“ თავის საუკეთესო ფორმაში ჩადგება.

წარუმატებლად დაიწყეს სეზონი ქუთაისელმა ფეხბურთელებმა. მათ წააგეს საკუთარ მოედანზე მინსკის „დინამოსთან“ — 0 : 2.

დანარჩენ შეხვედრებიდან აღსანიშნავია ის, რომ მოსკოვის ხუთი გუნდიდან ოთხმა წარუმატებლობა განიცადა სტარტზე. „ტორპედო“ დამარცხდა ბაქოში — 0 : 3, „დინამო“ კიევში — 0 : 1, „სპარტაკი“ ტაშკენტში — 0 : 1, მხოლოდ ცსკა-მ გაიმარჯვა ოდესაში ადგილობრივ სკა-სთან — 3 : 0.

თბილისის დინამოელებს მეორე შეხვედრა მინსკელ თანაკლუბელებთან ჰქონდათ.

ანგარიში დინამოელმა გ. სიჭინავამ გახსნა და ამან განმუხტა ის ნერვული დაძაბულობა, რომელიც თამაშიდანვე დაღს ასვამდა მათს მოქმედებას. მინსკელები ხშირად უხეშობდნენ კიდეც. მ. მესხმა ამჯერადაც ვერ მიიღო მონაწილეობა თამაშში (მას ხელის მსუბუქი ტრავმა აქვს), არც ი. დათუნაშვილია სათანადო ფორმაში. მასპინძელთა შეტევები არ იყო ისეთი, როგორიც მათ სჩვევიათ, და ამიტომ მატჩის მთელი სიმძიმე დაცვასა და ნახევარდაცვას დააწვა.

მინსკის „დინამომ“ საპასუხო ბურთი თამაშის ბოლოს გაიტანა და მატჩიც ფრედ — 1:1 დამთავრდა.

გაიმარჯვა ქუთაისის „ტორპედომ“. მან ანგარიშით 1:0 მოუგო ოდესის „ჩერნომორეცს“. გოლის ავტორი ასიტაშვილი იყო. დღეისათვის მხოლოდ დონეცკის „შახტიორს“ აქვს 4 ქულა. თითო ქულა აქვთ დაკარგული მინსკის „დინამოს“, ცსკა-ს, თბილისის „დინამოს“, კიევის „დინამოს“.

ჯერ ადრეა პროგნოზების გაკეთება და არც არის საჭირო. ჩემპიონატი ახლა დაიწყო. წინ გრძელი და მომქანცველი გზაა. ვნახოთ როგორ წარიმართება იგი. ერთი რამ ცხადია, წელს უჩვეულოდ საინტერესო ბრძოლების მოწმენი გავხდებით.

კიევში დამთავრდა ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. გასული წლის ჩემპიონები თბილისის ბურევესტნიკის ხელბურთელები ჯერ-ჯერობით მეორე ადგილზე იმყოფებიან. მათ ერთი შეხვედრა წააგეს, დანარჩენი მოიგეს.

გადაწყდა, რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის დაიწყება 17 სექტემბერს. მატჩის პირველი ნახევარი (8 პარტია) გაიმართება მოსკოვში, მეორე ნახევარი — თბილისში. მთავარ არბიტრად მოწვეულია ნ. გრუშკოვა-ბელსკა (ჩეხოსლოვაკია).

თბილისში ზამთრის ახალ საცურაო აუზში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე წყალბურთში. თბილისის „დინამომ“ პირველსავე შეხვედრაში დაამარცხა თავისი ძველი და ძირითადი მეტოქე მოსკოვის „დინამო“ ანგარიშით 2 : 1. ქართველი წყალბურთელები კიდევ ოთხ მატჩს გამართავენ.

ო. ლორთქიფანიძე.

დაგაქვსთ მოგელიან

ლომჯარიას ანდრო ვიქტორის-ძეს, დაბადებულს 1924 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურში, ეძებს დედა — ლომჯარია თებრონე, მცხოვრები მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურში.

შარაბიძეს ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, დაბადებულს 1904 წელს ძ. ჭუთაისში, ეძებს მეუღლე — შარაბიძე ანა ზაქარიას ასული, მცხოვრები თბილისში, მარჯანიშვილის ქ. № 30-ა.

ვახტანგ წიკლაურის განცხადებით ის ცოცხალია და ცხოვრობს საფრანგეთში (ლევილ'ში). ჰყოლია ფრანგის ქალი,რომელიც უკვე გარდაცვლილა, ჰყოლია ერთი ქალიშვილი. მეუღლემ უკვე ორჯერ მისწერა წერილი, სთხოვა თუ დაბრუნდებოდა, წამოეყვანა შვილიც.

გოდერძიშვილს (საშა) ალექსანდრე სიმონის-ძეს, დაბადებულს 1923 წელს, ეძებს მამა — სიმონ გოდერძიშვილი, მცხოვრები თბილისში, გოგოლის ქ. № 22.

ხუციშვილს ლადო (ვლადიმერ) ალექსანდრეს-ძეს, დაბადებულს 1916 წელს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილეებში, ეძებენ და და სიძე — მარიამ და სიმონ გოდერძიშვილები, მცხოვრებნი თბილისში, გოგოლის ქ. № 22-ში.

მალაზონიას ნიკოლოზ ივანეს-ძეს, დაბადებულს 1907 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ციხისფერდაში (გაწვეულია ჯარში 1941 წლის 23 ივნისს, ქოგულეთის სამხედრო კომისარიატიდან), ეძებენ მეუღლე — არაგელიძე რუსუდან გერმანეს ასული და შვილი — მალაზონია ნათელა ნიკოლოზის ასული, მცხოვრებნი გათუმში, კირovის ქ. № 25, ბინა № 11.

შატაიძეს ილია (ილუშა) მიხეილის-ძეს, დაბადებულს 1919 წელს, ეძებენ დედ-მამა— მიხა და ბაბუცა შატაიძეები, მცხოვრებნი სოფელ ახალციხეში, კასპის რაიონი.



ილია შატაიძე

ზარნაძეს ნიკოლოზ ევგენის-ძეს, დაბადებულს 1908 წელს ძ. ზესტაფონის რაიონის სოფელ კიროთში, ეძებენ მეუღლე — ვალენტინა სილოვნა გისტროს ასული ფხაკაძე და შვილები — ეთერ, რევაზ ჯუმბერ, რუსიკო, ელზა ზარნაძეები, მცხოვრებნი ძ. ზესტაფონში, კაპოს ქ. № 16.

არაგელიძეს ვახტანგ გიორგის-ძეს, დაბადებულს 1908 წელს გათუმში (ჯარში გაწვეულია 1942 წელს), ეძებს დედა — არაგელიძე შუშანა, მცხოვრები გათუმში, კიროვის ქ. № 25. ბინა 11.



ნ. ზარნაძე მეუღლითურთ

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50,59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.